



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 93
21/06/2017

93-08-4-201706211733



საკრებულოს თავმჯდომარის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი
სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიმდინარე წლის 28 ივნისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის, დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვალის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.7. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.8. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.9. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო ვაჩიშვილი

1.10. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილებების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის N9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: ტარიელ ბერაძე.

1.11. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) განსაკუთრებულ გზების სიის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

1.12. ა.ა.ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისთვის „სხივი“ (ს/კ 24008796) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 ერთეული მოძრავი ქონების (კომპაქტორიანი ნაგავმზიდი) სარგებლობის უფლების ფორმით(თხოვნა) გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.13. მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან ჩამოწერის, დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების)განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

პროექტი მოამზადა: მალხაზ ჩხიკვაძე

1.14. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა